

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება

A5



"დავოსი-2009"

A8



დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი

A10



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ევროსაბჭოს ფრონტზე

ქართული და რუსული დელეგაციების შერკინება

ლევან ღირსიაშვილი
სტრასბურგიდან

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გუშინ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხებზე იმსჯელა და ორი რეზოლუცია მიიღო. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროსაბჭომ პირველად ოქტომბერში ამოიღო ხმა, როდესაც რუსეთს გარეული ვალდებულებები დააკისრა და სეპარატისტული რეგიონების აღიარების გაუქმება მოთხოვა. გუშინ კი, ევროსაბჭოს ასამბლეაზე რუსეთის და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განიხილეს. ასამბლეამ, ორი ჩასწორების გარდა, რეზოლუციაში ქართული მხარის მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი გაითვალისწინა, რაც, ქართული დელეგაციის აზრით, ამ ეტაპზე უდავოდ დადებით შედეგად შეიძლება შეფასდეს.

რეზოლუციების მიღებამდე

ასამბლეის წინაშე პირველი ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის მომხსენებელი ბატონი ვან დერ ბრანდემ წარსდგა. მისი განცხადებით, საქართველომ შეასრულა ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უდიდესი ნაწილი, ხოლო მოსკოვმა კი პირიქით. ვან დერ ბრანდეს განცხადებით, კონფლიქტის ზო-



მათიას ეორში: "ევროსაბჭო ვალდებულია გადადგას ქმედითი ნაბიჯები."

ნებში ამჟამად საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი. მანვე ყურადღება გაამახვილა გალის რაიონსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე ახალგორსა და პერევეში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე, რაც აუცილებლად საჭიროებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. "ავისტოში განვითარებულ

მოვლენებზე და შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ორივე მხარეს ეკისრება, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ სპეციალური კომისიის შექმნას, რომელშიც შევლენ რუსეთის, საქართველოს, ასევე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო მთავრობების წარმო-

მადგენლები," - განაცხადა ვან დერ ბრანდემ. მისი ინიციატივით, კომისიამ უნდა იმუშავოს შექმნილი ვითარების გამოსწორებასა და კონფლიქტის ზონებში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის გადაჭრის გზებზე.

ბაზრძილაბა A3 გვერდზე

ევროპა საქმეზე გადადის

ევროკომისია "ნაბუკოსთვის" 350 მილიონი ევროს გამოყოფის ინიციატივით გამოდის

ევროკომისიის წინადადება - გამოიყოს 350 მილიონი ევრო "ნაბუკოს" პროექტის დასაფინანსებლად, გუშინ ბრიუსელში გაუღერდა. ევროკომისიის ინიციატივა იმ 3,5-მილიარდიანი ენერგოსაფრთხილების პროექტის ნაწილია, რომლის პრეზენტაცია ევროკომისიამ 28 იანვარს მოახდინა. ამ წინადადების განხორციელებას ევროკავშირის მთავრობების თანხმობა სჭირდება. თუ ამ დღეებში ბუდაპეშტის სამიტზე მიღებული მემორანდუმის შინაარსს გავითვალისწინებთ, ასეთი თანხმობის მიღება ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილისთვის პრობლემას აღარ უნდა წარმოადგენდეს.

თამარ ხორბალაძე

2002 წლის შემდეგ, როცა "ნაბუკოს" პროექტის შესახებ პირველი განცხადებები გაკეთდა, ევროკომისიის ეს ინიციატივა და 26-27 იანვარს ბუდაპეშტში გამართული სამიტის პროექტის განხორციელებისკენ გადადგმული პირველი პრაქტიკული ნაბიჯებია. "ნაბუკოს" სამიტის ბუდაპეშტში ჩატარება, დასავლური მედიის აზრით, პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ უნგრეთმა ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია თა-

ვისი უსაფრთხოების კონცეფციის ქვაკუთხედად აქცია. უნგრეთის ენერგომომარაგების 80 პროცენტი, "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, რუსეთზე მოდის. შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის ომმა ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ ამ ქვეყანას მიაყენა. სამიტზე უნგრეთის პრემიერმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამ ომის დროს უნგრეთის მოსახლეობა "მძევლად" იქცა და აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს ისიც აღნიშნა,

ბაზრძილაბა A2 გვერდზე

ოპოზიციის მემორანდუმი

დღეს ოპოზიცია საჯაროდ გამოაქვეყნებს მემორანდუმს, რომლის მთავარი მოთხოვნაა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომა. დოკუმენტი ღია იქნება და რამდენიმე დღის განმავლობაში ნებისმიერი მსურველი შეძლებს, მას ხელი მოაწეროს. ამის შემდეგ მემორანდუმის ტექსტი საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნება.

ვერიკო თივაშაძე

მემორანდუმის ინიციატორი "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილია. ექსპონენტის იდეას სხვა პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ. სალომე ზურაბიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ტექსტმა ცვლილება განიცადა. მემორანდუმის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ "რესპუბლიკელების" და "მემარჯვენეების" ალიანსი, "კონსერვატორები" და "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენელი ეკა ბესელია. ოპოზიცია არ დათანხმდა პირვანდელი ვარიანტის მოთხოვნას მორატორიუმის შესახებ. შესაბამისად, მოიხსნა ვალდებულება, რომლის თანახმადაც ოპოზიცი-

ურ ძალებს ერთმანეთის კრიტიკა ეკრძალებოდათ. მემორანდუმის ხელმოწერები ყოველგვარი შეზღუდვებისგან თავისუფლდებიან.

ისინი ერთიანდებიან სამი ძირითადი მოთხოვნის გარშემო - პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომა, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნა.

მემორანდუმის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე რიგითი მოქალაქეები, არ წარმოადგენენ კოალიციას, მით უფრო - საარჩევნო ბლოკს. "ეს არის, უბრალოდ, თემატური გაერთიანება. აღნიშნული დოკუმენტის

ბაზრძილაბა A2 გვერდზე

სამხედრო დაპირისპირების კრევენციისთვის დადებული მემორანდუმი

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის მისიას შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ დეტალურად ისაუბრეს სადამკვირვებლო მისიის თბილისის ოფისში. მემორანდუმი არის ევრომონიტორებთან საქართველოს ხელისუფლების მიერ გაფორმებული ცალმხრივი დოკუმენტი. მისი მოქმედების ვადა თავდაპირველად 3 თვით განისაზღვრა და შემდეგ ეტაპობრივად გახანგრძლივდება.

დათო ბაჩისონია

სამხედრო დაპირისპირების პრევენციისთვის გაფორმებულ დოკუმენტში თავდაცვის სამინისტრომ გარკვეული შეზღუდვების შესრულებაზე აიღო ვალდებულება. კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო თანახმაა, რომ ერთ ბატალიონზე მეტს არ განალაგებს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან 15 კილომეტრის სიახლოვეს. განხილული ვითარება ე.წ სამხრეთ ოსეთის საზღვართან, რადგან ახალგორი იმდენად ახლოს არის დედაქალაქთან, რომ მხოლოდ 15 კილომეტრის დაშორებით დისლოცირე-

ბული ქართული შენაერთები თბილისის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ. ამიტომ მემორანდუმში გათვალისწინებულია კონფლიქტის ზონის სასაზღვრო ზოლის რელიეფი და განსაზღვრულია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიასთან საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოცირება სხვადასხვა მანძილზე მოხდება.

მეტ საბრძოლო სისტემას ან ჯავშანმანქანას. საქართველოს უფლება ეძლევა, შეთანხმებული მანძილის შიგნით ჰყავდეს საშუალო ზომის ნაღმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება, საბრძოლო დაჯავშნული მანქანები და ჯავშანტრანსპორტიორები. ამით სამხედრო უწყებას ექნება თავდაცვის, მაგრამ არა თავდასხმის საშუალება. ამასთანავე, თავდაცვის სამინისტრომ სადამკვირვებლო მისიას უნდა შეატყობინოს იმ სამხედრო ნერთისა და აქტივობის შესახებ, რომელიც ერთი ბატალიონის მასშტაბს აღემატება. სადამკვირვებლო მისია და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეთანხმდნენ, რომ ორ კვირაში ერთხელ გამართავენ შეხვედრებს. ევროკავშირის წარმომადგენლის თქმით, სამხედრო საკითხზე არსებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია.

მიღებას 17-18 თებერვალს შენევის ფორმატში ეცდებიან. მისი თქმით, სამხედრო სფეროში ნდობის აღდგენის საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ამ მიმართულებით დეფიციტი იგრძნობა.

ბა უფლებათა დარღვევის ფაქტები, ხოლო კონფლიქტის ზონების შიგნით არსებულ მდგომარეობაზე მისია არავითარ ინფორმაციას არ ფლობს, რადგან რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამკვირვებლებს დღემდე არ უშვებს. ამჟამად, რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები ბრიუსელის მეშვეობით მიმდინარეობს. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი მოცემულ შეთანხმებას დეტალურად და პოზიტიური მიდგომით შეისწავლის. ჰაბერის თქმით, "იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მსგავსი საპასუხო ხელშეკრულების გაფორმებას გადაწყვეტს, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ უფრო მეტი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიღწევა იქნება შესაძლებელი. რუსეთმა ნათელი უნდა მოჰფინოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მყოფი საკუთარი ძალების საერთო რაოდენობას და ადმინისტრაციული საზღვრის უშუალო სიახლოვეს ძალები შეამციროს. შესაძლებელია, შეიქმნას რეალური სტაბილურობა, თუ ამას ორივე მხარე ხელს შეუწყობს."

რატომ "ეკლავა თავს" ქართული მხარე რუს დეზინფორმაციის

ამას თბილისის საერთაშორისო სამართალი ავალდებულებს

რუსი სამხედრო მოსამსახურე, უმცროსი სერჟანტი ალექსანდრ გლუხოვი, რომელიც 26 იანვარს ახალგორის რაიონიდან გამოიქცა და საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, დასავლელ ჟურნალისტთან საუბარში ადასტურებს, რომ ის არავის მოუტაცებია და სამხედრო ნაწილი საკუთარი ნებით დატოვა. მიუხედავად ამისა, მოსკოვს მაინც სხვა "ვერსია" აქვს: რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ქართველ ძალოვნებს უმცროსი სერჟანტის უკანონო დაკავებაში ადანაშაულებს და მის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას ითხოვს. რუსული მხარე ირწმუნება, რომ გლუხოვის საუბრის ჩანაწერი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, "მუქარით, ფიზიკური ან მორალურ-ფსიქოლოგიური ქმედებებით იყო მიღებული".

ვი, დაბეჯითებით აცხადებს, რომ გლუხოვი ქართულმა სპეცსამსახურებმა მოიტაცეს და თბილისში გადაიყვანეს.

გრიგოლ ვაშაძემ. მართალია, ალექსანდრ გლუხოვი "როიტერთან" ინტერვიუში ადასტურებს, რომ სახლში დარეკა და დედას ესაუბრა, მაგრამ "რია ნოვოსტის" თუ დავუჯერებთ, "გალინა გლუხოვა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ამ დრომდე არ ფლობს".

და, სამხედრო ნაწილიდან გლუხოვის გაქცევის ფაქტი "ქართულ პროვოკაციად" მონათლოს, რათა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე თავი იმართლოს.

გიორგი ასანიშვილი

"ეხო მოსკვის" მსმენელების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებამდე, აუტანელ რუსულ სამხედრო ყოფას გამოქცეული ალექსანდრ გლუხოვი წამყვანი დასავლური მედიასაშუალებების წარმომადგენლებს ესაუბრა.

სის" "ვერსიები" მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. მათ შორის იმაშიც, რომ ალექსანდრ გლუხოვი ქართულ მხარეს ნებაყოფლობით ჩაბარდა. სამაგიეროდ, განსხვავებულ ვერსიას ავითარებს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.

თუმცა, ამ "ვერსიას", თავად გლუხოვთან ერთად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილიც კატეგორიულად უარყოფს. მისი განცხადებით, თუ გლუხოვს რუსეთში დაბრუნების სურვილი ექნება, ამაში მას ხელს არავინ შეუშლის. გარდა ამისა, უტიაშვილი "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ქართული მხარე მზად არის, უზრუნველყოს თბილისში მშობლებთან გლუხოვის შეხვედრის ყველა აუცილებელი პირობა.

რუსული მედია ასევე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ახალგორიდან გაქცეული რუსი ჯარისკაცის დედას საქართველოს ხელისუფლებისგან თბილისში მიწვევა არ მიუღია.

და, სამხედრო ნაწილიდან გლუხოვის გაქცევის ფაქტი "ქართულ პროვოკაციად" მონათლოს, რათა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე თავი იმართლოს.

რუსი სამხედრო მოსამსახურე, უმცროსი სერჟანტი ალექსანდრ გლუხოვი, რომელიც 26 იანვარს ახალგორის რაიონიდან გამოიქცა და საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, დასავლელ ჟურნალისტთან საუბარში ადასტურებს, რომ ის არავის მოუტაცებია და სამხედრო ნაწილი საკუთარი ნებით დატოვა. მიუხედავად ამისა, მოსკოვს მაინც სხვა "ვერსია" აქვს: რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ქართველ ძალოვნებს უმცროსი სერჟანტის უკანონო დაკავებაში ადანაშაულებს და მის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას ითხოვს. რუსული მხარე ირწმუნება, რომ გლუხოვის საუბრის ჩანაწერი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, "მუქარით, ფიზიკური ან მორალურ-ფსიქოლოგიური ქმედებებით იყო მიღებული".

სამართალდამცველებმა სამი ძეგნილი დააკავეს

სამართალდამცველებმა სამი ძეგნილი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სსკ-ის 177-ე მუხლით ძეგნილი, 30 წლის ალიკა შელია და ასევე სსკ-ის 177-ე მუხლით ძეგნილი, 27 წლის რამაზ შამათავა. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სსკ-ის 388-ე მუხლით ძეგნილი 29 წლის რუსლან ბილვანიძე. სამართალდამცველებმა ქურობაში ეჭვნიტანილი ორი პირი დააკავეს. მსს-ის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 24 წლის ზაზა ზანგალაძე, რომელიც ეჭვმიტანილია ქურობაში. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 51 წლის ვიტალი ჟმირივი, რომელიც ეჭვმიტანილია ქურობაში. მიმდინარეობს გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

კიევში "კანონიერი ქურდი". მეტსახელად "რობინზონი" დააკავეს

კიევში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციულ დანაშაულთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სპეცოპერაციის შედეგად კრიმინალური ავტორიტეტი, რუსეთის მოქალაქე, 1952 წელს დაბადებული რომზონი დააკავეს. "კანონიერი ქურდი" დამნაშავეთა სამყაროში "რობინზონის" მეტსახელითაა ცნობილი. დაკავებისას კრიმინალური ავტორიტეტი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ამის შესახებ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება. გოლოსევის სკის სასამართლომ დამნაშავეს 3 დღის განმავლობაში დაცვის ქვეშ ყოფნა მიუსაჯა. ამ ეტაპზე რომზონის რუსეთში დეპორტაციისა და უკრაინის ტერიტორიაზე შესვლის უფლების 5 წლით აღკვეთის საკითხი განიხილება. კიევის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა განმარტებით, დამნაშავე ისრაელიდან ძვირადღირებული ავტომანქანების გატაცების სფეროში კონტროლის დამყარებისა და მათი უკრაინის ტერიტორიიდან გაყვანის მიზნით ჩავიდა. "რობინზონი" 6 ჯერ იყო გასამართლებული. საერთო ჯამში მან ციხეში 20 წელი გაატარა. რუსი ოპერატიული სამსახურის თანამშრომლების განცხადებით, რომზონი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე გავლენიან "კანონიერ ქურდებს" შორის მესამე ადგილზეა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მექსიკელი ნარკობარონის დამხმარე დააკავეს

მექსიკელმა სამართალდამცველებმა დააკავეს მსხვილი ნარკობარონის დამხმარე, რომელმაც 300 ადამიანზე მეტი მკვლელობა აღიარა. მისივე თქმით, მოკლულთა ცხედრებს ის მყავას ასხამდა.



დააკავეს მსხვილი ნარკობარონის დამხმარე, რომელმაც 300 ადამიანზე მეტი მკვლელობა აღიარა.



დააკავეს მსხვილი ნარკობარონის დამხმარე, რომელმაც 300 ადამიანზე მეტი მკვლელობა აღიარა.

CNN-ის ინფორმაციით, დაპატიმრებულმა სანტიაგო მეზა ლოპესმა დეტალურად მოყვა, თუ როგორ ასრულებდა მისი ბოსის, მექსიკის ყველაზე გავლენიანი ნარკობარონის - ტეოდორო გარსია სიმენტალისა, მეტსახელად "თოს", დავალებებს. "მე ვასრულებდი "თოს" ყველაზე ცხელ საქმეებს," - განუცხადა სამართალდამცველებს ლოპესმა. მისივე თქმით, ბოსის შეკვეთით ის კლავდა იმ პირებს, რომლებმაც "გაყიდეს" ან წინააღმდეგობა გაუწიეს "თოს".

ლოპესმა სამართალდამცველებს უთხრა, რომ ყველა ცხედარი მყავაში არ დაუნვავეს, ზოგიერთი დამარხა კიდეც და სამარხებიც კი მიუთითა. ტელეგადაცემაში, რომელშიც ლოპესის დაკავება აჩვენეს, ხელბორკილებდადებულმა ქილერმა მსხვერპლთა ოჯახებს ბოდიში მოუხადა და პატიება ითხოვა.

პოლიციამ ლოპესი გასულ კვირას, შტატ ქვედა კალიფორნიაში დააკავეს. თუმცა, მისი ვინაობის დაზუსტება მხოლოდ დაკავებიდან 24 საათის შემდეგ მო-

ხერხდა, რადგან ლოპესმა პოლიციას ნამდვილი ვინაობა დაუმალა. ლოპესის მსხვერპლთა ოჯახის წევრები და სამართალდამცველები მოკლულთა ცხედრების ნაწილების მოძიებას ცდილობენ.

CNN-ის ინფორმაციით, მექსიკის ხელისუფლება ფართომასშტაბიან ბრძოლას აწარმოებს ნარკობარონის წინააღმდეგ. მექსიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ რამდენიმე დღის წინ გაერცხლებული ინფორმაციით, სამხედროებმა 2009 წლის დასაწყისში დააკავეს 269 ნარკომოვაჭრე და კონფისკაცია გაუქმეს 37 ტონა "მარიხუანას".

ამავე მონაცემებით, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის ფარგლებში გაანადგურეს 28 ასაფრენი და დასაჯდომი ბილიკი, რომელსაც ნარკოკარტელი იყენებდა, გადანვეს 200 ჰექტარი "მარიხუანა". მიუხედავად მექსიკის პრეზიდენტ ფელიპე კალდერონის მიერ ნარკომოვაჭრეების, კორუფციისა და დანაშაულის წინააღმდეგ გამოცხადებული ომისა, მექსიკაში ნარკოდანაშაულის რაოდენობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. გასულ წელს მექსიკაში ორგანიზებული დაჯგუფებებისა და ნარკომოვაჭრის წევრებმა მოკლეს 5 630 ადამიანი. ექსპერტების შეფასებით, ყოველწლიურად მექსიკიდან აშშ-ში შედის 14 მილიარდი დოლარის ნარკოტიკი.



3.5 G HSDPA



**ყველაზე სწრაფი, ხარისხიანი და იაფი
მოხილური ინტერნეტი ყველგან,
სადაც გაბითა, ანუ მთელ საქართველოში**

**HSDPA ანუ 3.5 თაობის ინტერნეტი:
ინფორმაციის გადასემის მაქსიმალური
სიჩქარე – 14.4 მეგაბიტი წამში.**

HSDPA ტექნოლოგიით სარგებლობისთვის მოხილურ ტელეფონს, ან მოდემს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მხარდაჭერა.



საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობა იუბილარ მედიკოსებთან

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარება "033"-ის თანამშრომლებს სამსახურის 100 წლის იუბილე მიულოცა.

იუბილეზე დასწრების მიწვევა ქვეყნის პირველმა პირმა რამდენიმე დღის წინ პირდაპირ ეთერში მიიღო.

მიხეილ სააკაშვილმა თავისი გუშინდელი გამოსვლა იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი მუშაობს და აქ დიდი ინტელექტუალური პოტენციალია.

პრეზიდენტით თქმით, საქართველოში ყველა ცნობილი ექიმი, კარიერის რალაც ეტაპზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში მუშაობდა.

"ამ სტრუქტურაში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობა ძალიან ძნელია. ამიტომ, ვინც გაძლო 15, 20 და მეტ წელს, ისინი ნამდვილი გმირები არიან და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ დაფასებას საჭიროებენ," - მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ "033"-ის უფასო მომსახურების აღდგენა მთავრობის მიერ შესრულებული ერთ-ერთი დაპირებაა.

"მე ვამაყოფ, რომ ჩვენ ხალხისთვის ფუჭი დაპირება არასდროს მიგვიცია. ერთ-ერთი მთავარი დაპირება, რომელიც უკვე შევასრულეთ, საქართველოში უფასო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღდგენაა. როდესაც საარჩევნო დაპირებებს შეასრულებ, შემდეგ ის უკვე გავიწყდება. მე ყოველთვის მასსოვს ის დაპირება, რომელიც ჯერ კიდევ შესასრულებელია," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მისი თქმით, ხელისუფლების ერთ-ერთი დაპირება იყო ისიც, რომ ცალკეულ სფეროებში უფრო მეტი ფული ჩაიდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო კრიზისის შედეგად, საქართველოს ეკონომიკა შენედა, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

პრეზიდენტის განცხადებით, მთავრობამ უკვე 5 პროცენტით შეამცირა საშემოსავლო გადასახადი, დაიწყო პენსიებისა და შემწებების გაზრდა, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკაში მეტი ფულის ჩასადებად.

"იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერებით, დამატებით შეიქმნება 25 000 ახალი სამუშაო ადგილი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ნაწილობრივ მაინც ავიცილოთ თავიდან სამუშაო ადგილების და-

კარგვა," - ვარაუდობს იუბილარი მედიკოსების სტუმარი.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, სახელმწიფო აპარატმა უნდა იგრძნოს, რომ ქვეყანას განსაკუთრებული პასუხისმგებლობის პერიოდი დაუდგა.

"ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა მოვიჭიროთ ქაშაყები და 10 პროცენტით შევამციროთ სახელმწიფო აპარატის ადმინისტრაციული ხარჯები, ეს ფული კი ეკონომიკის სტიმულირების, სამუშაო ადგილების გადარჩენისთვის ნავიდეხს. ჩვენ უნდა განვაახლოთ ანტიკორუფციული საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვინაიდან ამ კუთხით სახელმწიფო აპარატის შიგნით კიდევ არის "რეზერვები". სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, გავაძლიერებთ დემოკრატია, ვიმუშავებთ პარლამენტში ოპოზიციასთან პარლამენტის როლის გასაზრდელად, სასამართლო სისტემის რეფორმირებისთვის და უფრო ღია მედიის არსებობისთვის. ეს ნაბიჯები მხოლოდ დასაწყისია იმისა, რაც ქართულმა სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. ერთიანობით, და არა დაპირისპირებით, ჩვენ დავძლევთ უმუშევრობას და შევძლებთ ახალი საქართველოს აშენებას," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

ბალათურია მინისტრის წინააღმდეგ

"ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბალათურია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. გუშინ მან ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ბრიფინგი გამართა. ბალათურია აცხადებს, რომ მინისტრ გოგა ხაჩიძის იმპიჩმენტის დაწყების საკითხს ის პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველივე პლენარულ სხდომაზე დააყენებს. ბალათურიას განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან უკვე დაწყებული აქვს.

პარლამენტის წევრის განცხადებით, მას გააჩნია ვიდეომასალა, რომელიც ადასტურებს ხაჩიძის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს, თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მედბარე "ხარების" ეკლესიის კარის შემტვერვაში თანამონაწილეობას.

ბალათურია ვიდეომასალის საქართველოს პრეზიდენტისათვის გადაგზავნას გეგმავს და აპირებს, თხოვნით მიმართოს პრეზიდენტსა და პრემიერ მინისტრს, რათა მთავრობის შემადგენლობის დაკომპლექტებისას, ეს ფაქტი იქნას გათვალისწინებული.

ბალათურიას მტკიცებით, მან ხაჩიძის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრის თხოვნით უკვე მიმართა გენერალურ პროკურატურას. 24 საათი

სასწრაფო დახმარება 100 წლისა

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს 100 წელი შეუსრულდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 28 იანვარს, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამოს დაესწრო ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი. იგი სასწრაფო დახმარების მედ.პერსონალს შეხვდა და რამდენიმეწუთიანი ბრიფინგიც გამართა. გამოსვლისას პრეზიდენტმა ჯანდაცვის სფეროში არსებულ მიღწევებსა და სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრა. გარდა ამისა, რუსთაველის თეატრის სცენაზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი თბილისის სასწრაფო დახმარების დაარსებისა და მის განვითარების შესახებ. სცენაზე სიტყვით გამოვიდა თბილისის მერი გივი უგულავა, რომელმაც სასწრაფო დახმარების პერსონალს იუბილე მიულოცა და თებერვლის თვიდან ხელფასების 80 და 100 ლარამდე გაზრდას დაჰპირდა.

სასწრაფო დახმარების კოლექტივს 100 წლის იუბილე მიულოცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიციანიშვილმა. მისი თქმით: "სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში წინა წლებთან შედარებით ბევრი ცვლილებაა, განახლებულია ავტოპარკი, დამონტაჟებულია ციფრული სისტემა და ტექნოლოგიები. ჩვენ ვცდილობთ მატერიალურადაც ხელი შევეწყობთ იქ მომუშავე ექიმებსა და პერსონალს." 24 საათი

მოხილური ინტერნეტის საუკეთესო პირობები

მაგთის აბონენტებისთვის

- ✓ 20 MB – 5 ლარად
- ✓ 100 MB – 10 ლარად
- ✓ 400 MB – 15 ლარად
- ✓ 1000 MB – 30 ლარად
- ✓ 5000 MB – 60 ლარად
- ✓ ულიმიტო – თვეში 100 ლარად*

შეძენილი მეგაბაიტების გამოყენების ვადაა 30 დღე. 30 დღის შემდეგ გაუხარჯავი მეგაბაიტები იყინება ახალი ინტერნეტ-პაკეტის შექენამდე.

ინტერნეტ-პაკეტის ასარჩევად:
 მობილურზე აკრიფეთ *100 # OK. და სერვის-მენიუდან თქვენთვის, ან მეგობრისთვის შეიძინეთ სასურველი ინტერნეტ-პაკეტი.

! ინტერნეტ-პაკეტებით სარგებლობა შეუძლია მაგთის მობილური ინტერნეტის ნებისმიერ მომხმარებელს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი თაობის მობილურით სარგებლობს.

* 15 GB – უფასოდ, შემდეგ 1 MB – 1 თეთრი




ბაღის აბონენტებისთვის

- ✓ 3-ღაჩიანი ბაღი-ბაჩათის მე-6 ანგაჩიშზე გააქტიუებისას დაგეჩიყებათ 15 მეგაბაიტი /1 მეგაბაიტი - 20 თეთხად/
- ✓ 9-ღაჩიანი ბაღი-ბაჩათის გააქტიუებისას 5ი დაგეჩიყებათ 100 მეგაბაიტი. /1 მეგაბაიტი - 9 თეთხად/

შეძენილი მეგაბაიტების გამოყენების ვადაა 30 დღე.





რევოლუ



ავსტრიაში მსოფლიოს ყველაზე დიდი და სახელგანთქმული თოვლის არტფესტივალი მიმდინარეობს. ამჯერად დევიზი შემდეგია: "გამოსახე და გამოხატე თეთრში". ავსტრიულ სითეთრესა და სიცივეში მხატვრები მთელი მსოფლიოდან თუ არა, მთელი ევროპიდან მაინც ჩადიან. ოღონდაც ის მხატვრები, რომელთათვისაც სითეთრე უფორმოებს არ წარმოადგენს და არც სიცივეს, და კიდევ ის მოქანდაკეები, რომლებსაც მოცულობებთან ჭიდილი სიცივესა და აქსტრემულ გარემოშიც არ კარგავს აზარტს.

AFP - 2009

Zappanale კვლავ ჩატარდება

ფრენკ ზაპას ქვრივმა სასამართლო პროცესი წააგო

იან ვაქა


გარდაცვალებიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ ფრენკ ზაპას სახელი ახლა უკვე არა სცენიდან, არამედ სასამართლო დარბაზიდან გაისმა - მისმა ქვრივმა, გეილ ზაპამ ფესტივალ Zappanale-ს წინააღმდეგ პროცესი წააგო, ხოლო ფესტივალს კვლავ აქვს უფლება სახელწოდებაში ლეგენდარული მუსიკოსის სახელი დატოვოს. გეილ ზაპა ფესტივალის ორგანიზატორებისგან მისი მეუღლის სახელის გამოყენების შეწყვეტას და კომპენსაციის სახით 325 ათას დოლარს ითხოვდა.

სასამართლომ ფესტივალის გაამართლა, რადგან როგორც გაირკვა, მის ორგანიზატორებს ფრენკ ზაპას სახელისა და გამოსახულების გამოყენების პატენტი ჯერ კიდევ 1990 წლიდან აქვს მიღებული, ხოლო გეილ ზაპამ ქმრის სახელი მხოლოდ 2002 წლიდან დააპატენტა. "სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ფრენკ ზაპას სახელი და სახე ოჯახის საკუთრებაა და დაუშვებელია მისი ასე საჯაროდ გამოყენება. ვფიქრობ, ფესტივალის ორგანიზატორებს ეს პატენტი არაკეთილსინდისიერი გზით აქვთ მიღებული", - აცხადებს გეილ ზაპა.

შეიძლება მისი სიტყვები ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავი არ შეიძლება მხოლოდ ოჯახს ეკუთვნოდეს. მით უმეტეს, რომ ფესტივალს პატენტი ჯერ კიდევ ფრენკ ზაპას სიცოცხლეში აქვს მიღებული, რაც ნიშნავს, რომ ამაზე თანხმობა მუსიკოსმა თავად განაცხადა.

Zappanale-ს როცა ფესტივალის გერმანიის ქალაქ ბედ დობერანში 1989 წლიდან იმართება და როგორც მისი სახელწოდებიდან ხვდებით, მხოლოდ იმ მუსიკოსებს მასპინძლობს, ვინც ფრენკ ზაპას მუსიკას ასრულებს. ასეთები კი მთელ მსოფლიოში უამრავია, ფესტივალის დღეები კი მათთვის ნამდვილი დღესასწაულია. Zappanale-ზე ხშირად გამოდიან ის მუსიკოსებიც, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ზაპასთან თანამშრომლობდნენ და მასთან ერთად ქმნიდნენ გენიალურ მუსიკას.

ფესტივალის დამაარსებელია ზაპას მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი ვოლფარდ კუტსი, რომელიც



90-იანი წლების ბოლომდე აღმოსავლეთ გერმანიის საიდუმლო სამსახურში მუშაობდა. ამის გამო

იგი ზაპას მუსიკისადმი დამოკიდებულებას მთელი ახალგაზრდობის განმავლობაში მალავდა. როდესაც

ბერლინის კედელი დაინგრა და გერმანია გაერთიანდა, კუტსმა სამსახური მიატოვა და თავი ზაპას მუსიკის პოპულარიზაციას მიუძღვნა. თავიდან ზაპას ფან კლუბი დააარსა, შემდეგ კი ფესტივალის ორგანიზება გადაწყვიტა. 2002 წელს ბედ დობერანში, სწორედ იქ, სადაც ფესტივალის იმართება ჩეხმა მოქანდაკე ვაცლავ ჩესაკმა ფრენკ ზაპას ბრინჯაოს ბიუსტი დადგა. ფესტივალის შემოსავლების დიდი ნაწილი ზაპას გამოსახულებიანი სუვენიერებით ვაჭრობაზე მოდის. გეილ ზაპას მთავარი პრეტენზია სწორედ ამ ვაჭრობის შეჩერება იყო.

ზაპას გარდაცვალებიდან 15 წლის აღსანიშნავად რამდენიმე ლონსიძიება გაიმართა. თავიდან გამოკუთხეს 40 წლის წინ ჩანერილი სამი კლასიკური ალბომი We're Only in it For the Money, Lumpy Gravy და Cruising with Ruben and the Jets. ამ უკანასკნელს ერთვის პატარა დოკუმენტური ფილმი, სადაც აღწერილია მისი ჩანერის პროცესი. ასევე საოჯახო კომპანია Zappa Family Trust გეგმავს გამოსცეს ლოს ანჯელესის კლუბ Roxy-ში ჩატარებული კონცერტის ვიდეო ჩანანერი.

"ბერლინალე" იწყება

"ოქროს დათვისთვის" 18 ფილმი იბრძოლებს

ი ა ვაჟა

უკვე ცნობილი გახდა ბერლინის 59-ე კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამის ჩამონათვალი. მთავარი პრიზისთვის 18 ფილმი იბრძოლებს, ხოლო ფესტივალის მსვლელობისას 14 მათგანის მსოფლიო პრემიერა გაიმართება. "ბერლინალე" ტრადიციულად თებერვალში გაიმართება, ხოლო ოქროსა და ვერცხლის დათვების მფლობელი ფილმის, რეჟისორისა და მსახიობების შესახებ 15 თებერვალს გახდება ცნობილი. წელს ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ბრიტანელი მსახიობი ტილდა სუინტონი იქნება.



2008 წელს დასრულებულ რამდენიმე მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმს წარმოადგენს. 2009 წლის ფესტივალს ტომ ტიკერის "ინტერნეშენელი" გახსნის. მასში მთავარ როლებს კლაივ ოუენი და ნაომი უოტსი ასრულებენ. განსაკუთრებით მოელის ბერტრან ტავერნიეს ფრანგულ-ამერიკულ ფილმს "ელექტრონულ ნისლში" ტომი ჯონსით და ჯონ გუდმენით მთავარ როლებში. ბრიტანელი სტივენ ფრიზი გასული საუკუნის 20-იანი წლების ფრანგული რომანის მიხედვით გადაღ-

ბულ "შერის" წარმოადგენს. მასში მიშელ ფაიფერი კურტიზანი ქალის როლს ასრულებს. ასევე საკონკურსო ჩვენებაზე იქნება წარმოდგენილი დემი მურისა და პარკერ პოუსის დუეტი მიტჩელ ლიტენშტეინის დრამაში "ბედნიერი ცრემლები", ინგლისელი სალი პოტერის "მრისხანება" და ფრანსუა ოზონის "რიკი". ირანელ ასგარ ფარაჰადის ბერლინში ემიგრაციის თემისადმი მიძღვნილი ფილმი "ელის შესახებ" ჩააქვს. ბერლინში ასევე მოელონ სტივენ ლალდრის უკვე გახმაურ-

ბულ "მკითხველსაც", რომელში მორეზარისხოვანი როლის შესარულებსთვის კეიტ უინსლეტმა უკვე მიიღო "ოქროს გლობუსი" და წარდგენილია "ოსკარზე".

კონკურსარეზე ჩვენებაზე იქნება წარმოდგენილი "ვარდისფერი პანტერას" მეორე ნაწილი და მსახიობ ჯორჯ ჰამილტონის ბავშვობის შესახებ გადაღებული კომედია "მხოლოდ ჩემი" რენე ზელვეგერით მთავარ როლში. კლოდ შაბროლს გადასცემენ სპეციალურ პრიზს "ბერლინალეს კამერა", რომლის ფილმი "ბელამი" სპეციალურ პროგრამაში იქნება ნაჩვენები. ხოლო ბერლინის კედლის დანგრევიდან 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ პროგრამაში ცივი ომის შესახებ გადაღებულ ფილმებს აჩვენებენ.

ტილდა სუინტონის თავმჯდომარეობით დაკომპლექტებულ ჟიურის შემადგეი წევრები არიან: ესპანელი რეჟისორი იზაბელ კოიჩოტი, გერმანელი კრისტოფ შლინგენსეფი, ამერიკელი უაიტ ვონგი, ბურკინა-ფასოელი გასტონ კაბორე, შვედი მწერალი ჰენინგ მანკელი და ამერიკელი მწერალი და ჯანსაღი საკვების გამომგონებლის მებრძოლი ელის უოტერსი.

ჯონ აპდეიკი ბარდაისვალა

ამერიკის შეერთებულ შტატებში 77 წლის ასაკში ცნობილი მწერალი, ამერიკულ ჟურნალისტიკაში ყველაზე პრესტიჟული პრემიის - პულიცერის პრემიის ორგზის და სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელი, ჯონ აპდეიკი გარდაიცვალა. აპდეიკის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია, მისმა გამომცემელმა გაავრცელა. მწერალი ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა.



ჯონ აპდეიკმა წერა 1950 წლიდან დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში მისი ავტორობით 50-ზე მეტი წიგნი გამოშვებული, რომლის უმეტესობაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი "ინტელექტუალურ" მწერლად ითვლებოდა, სხვადასხვა დროს ბესტსელერები ხდებოდა. მწერლის ნებისმიერ თემას ომის შემდგომი ამერიკის ცხოვრება წარმოადგენდა: ქორწილი და განშორება, ახალგაზრდობა და სიბერე, სექსი და მორალი. იგი თავად ამბობდა: "ჩემი ჰობი - პატარა ამერიკული ქალაქი, პროტესტანტული გარემო და საშუალო კლასია". თავისი შემოქმედების ძირითად თემებს (რელიგია, სექსი) აპდეიკი თავისივე რომანებშიც ("ალდგომის თვე", "როჯერის ვერსია") ავითარებს. ახალმა სიტყვამ რომანებში, ასევე კრიტიკულმა დამოკიდებულებამ თანამედროვე ყოფისადმი მას გემოვნებიანი მწერლის სახელი მოუტანა.

ჯონ აპდეიკი პენსილვანიის შტატში, ქალაქ რედინგში 1932 წელს, სკოლის დირექტორის ოჯახში დაიბადა. ბავშვობა მან პატარა ქალაქ შილინგტონში გაატარა. ჰარვარდში სწავლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი დიდ ბრიტანეთში ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობდა. 1953 წელს მან ცოლი - მერი ენტივისტილი მოიყვანა, 1955 წლიდან კი პატარა მოთხრობების ბეჭდვა დაიწყო. კერძოდ,

ამერიკაში დაბრუნებულმა აპდეიკმა მუშაობა ჟურნალ New Yorker-ში დაიწყო და მის ფურცლებზე უამრავი მისი ლექსი, ესე თუ მოთხრობა დაიბეჭდა. დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე აპდეიკი პოეტური კრებულით 1959 წელს გამოჩნდა, თუმცა სერიოზულ წარმატებას პირველივე რომანით "ბაზრობა თავმჯდომარე"-ს

გამოსვლის შემდეგ მიაღწია. მოულოდნელი აღიარება მას "კურდღელზე", ყოფილ კალათბურთელ ჰარი ენგსტრემზე გამოშვებული მოთხრობებით ეწვია, რომელიც ცხოვრებას ისეთ ფერებში აღიქვამდა, როგორც იყო. ესაა ერთი პატარა პროვინციული ქალაქის ტიპობრივი მოქალაქე, რომელიც სამყაროს რუტინის წინააღმ-

დეგ გამოდის, თუმცა წინსვლის, სოციალურ საფეხურზე აწევისა და მატერიალური კომფორტის მიღწევის შემდეგ თავისი მონოტონური ყოფის აბსურდულობას ეჯახება. სწორედ ამ ნაწარმოებისთვის აქვს აპდეიკს მიღებული პულიცერის პრემია. ხუთი მოთხრობა "კურდღელზე", რომელიც 1960-2001 წლებშია დაწერილი - "კურდღელი, გაიქეცი", "განკურნებული კურდღელი", "კურდღელი გამდიდრდა", "კურდღელი დანყნარდა" და "კურდღლის გახსენება" - მრავალ ენაზე ითარგმნა. რომანი "საქორწინო წყვილები" (1968 წ.) ბესტსელერად იქცა. მოქმედების ადგილი ამ წიგნშიც პატარა ქალაქია, რომელსაც სექსუალური რევოლუციის ტალღა შეიპყრობს. 1972-1975 წლებში ჯონ აპდეიკმა კონგრესის ბიბლიოთეკის საპატიო კონსულტანტის თანამდებობა დაიკავა. 1974 წელს ცოლს გაშორდა და ჯორჯთაუნში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც იგი მარტა რაგლზ ბერნარდზე დაქორწინდა (1977). აპდეიკის რომანების "ისტეკელი ალქაჯები"-ს და "ისტეკელი ქვრები"-ის მიხედვით ფილმები გადაიღეს, ხოლო მსოფლიოს თეატრების სცენაზე სპექტაკლები დაიდგა. მწერლის ერთ-ერთი ბოლო რომანი გახლდათ - "ტერორისტი", რომელიც მან მას შემდეგ დაწერა, რაც აპდეიკი ნიუ იორკში ნათესავებთან სტუმრობისას 11 სექტემბრის მოვლენებს შეესწრო. წიგნში მწერალი ამერიკაში ისლამური ფუნდამენტალისტის ცხოვრების განალიზებას ცდილობს. "ჩემთვის ამ ყველაფრის ყურება საკმაოდ ამაღლებელი, საშინელი და ნაღვლიანი იყო. თითქოს შენს საკუთარ არსებობას ძირი გაძვრა", - ამბობდა ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი.



29 იანვარი	
თეატრი	
შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი მცირე სცენა "Play ანუ სიკვდილის როკვა" რეჟისორი: რობერტ სტურუა დასაწყისი: 19.00	
კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი "ქაქუცა ჩოლოყაშვილი" რეჟისორი: ლევან ნულაძე დასაწყისი: 20.00	
თეატრი სხვენში "ქალი წარსულიდან" რეჟისორი: პაატა ციკოლია დასაწყისი: 20.00	
მიხელ თუმანიშვილის სახელობის თეატრი "მწყემსი გოგონა და ბუხრის მწმენდავი" დასაწყისი: 19.00	
თეატრალური სარდაფი "თავი" რეჟისორი: ლევან ნულაძე დასაწყისი: 20.00	
თეატრი "ვერიკო" "და სიმღერით ვკვები" დასაწყისი: 19.00	
თავისუფალი თეატრი "5 დღე უმუშევარი მსახიობის ცხოვრებიდან" დასაწყისი: 19.00	
კინო	
"ამირანი" რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" დასაწყისი: 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15 "პატარაობის ომი" დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 18.30; 20.30; 22.15; "ნადირობის სეზონი 2" დასაწყისი: 12.00; 13.30;	
"რუსთაველი" "რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00 "ნადირობის სეზონი 2" დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00 "დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა" დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30 "ტრანსპორტი III" დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45 "არწივის თვალი" დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15 "ავსტრალია" დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30	
გალერეა	
"ქარვასლა" ირაკლი გოგობას გამოფენა ხეზე ნაკვეთი კომპოზიციები "ჩხეთის მარგალიტები"	
"ორნამენტი" ტიხრული მინაქრის მუდმივი გამოფენა	
"შარდენი" ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა	
N გალერეა სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა	
"ვერნისაჟი" გიორგი გაგოშიძის გამოფენა "აბასთუმანი, აბასთუმანი..."	
ჰობი როკო ირემაშვილის პერსონალური გამოფენა ფერწერა, გრაფიკა	
ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა საქართველოს გაეროს განვითარების პროგრამა გამოფენა "ბავშვთა უფლებების დაცვა"	

სპორტი

ლომინეიზვილი ბოროხადაა საუკეთესო

ვერის ბაღში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულებულ ქალ მოჭადრაკეთა 66-ე ჩემპიონატი სერთაპორისო დიდოსტატის მაია ლომინეიზვილის ჩემპიონობით დასრულდა.

ალსანიშნავია, რომ დრეზდენის (გერმანია) 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონ მაია ლომინეიზვილს, დასკვნითი ტურის წინ 7,0 ქულა ჰქონდა და ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერი იყო.

მართალია, ან უკვე საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ბოლო ტურში გამოცდილ ნინო ხურციძესთან დამარცხდა, მაგრამ ჩემპიონის ტიტული მაინც დაისაკუთრა. საქმე ისაა, რომ მისი უშუალო კონკურენტებიდან, 6,5 ქულის მქონე ნაზი პაიკიძე, სოფიკო ხუბაშვილთან დამარცხდა, ხოლო 6,0 ქულის მქონე სოფიკო გურამიშვილი, ქეთი ნანალაშვილს დაუზავდა. აქედან გამომდინარე მაია ლომინეიზვილი კონკურენტთათვის მიუწვდომელი გახდა.

ჩემპიონატი წრიული სისტემით ჩატარდა. ქალთა შორის პირველობისთვის იბრძოდნენ მაია ლომინეიზვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, სოფიკო ხუბაშვილი, სოფიკო გვეტაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მირანდა მიქაძე, სოფიკო გურამიშვილი, ნაზი პაიკიძე, მერი არაბიძე, ქეთი ნანალაშვილი და მარია დანელია.



ლომინეიზვილიმა საქართველოს ჩემპიონობა მეოთხედ მოიპოვა

ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს იმადაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ საუკეთესო სამეული იმავდროულად ევროპის 2009 წლის ჩემპიონა-

ტის (7-21 მარტი, სანკტ პეტერ-ბურგი) საგზურებს ეუფლებოდა.

საქართველოს ჩემპიონატი:
1. მაია ლომინეიზვილი

- 2. ნინო ხურციძე
- 3. სოფიკო ხუბაშვილი
- 4. სალომე მელია
- 5. ნაზი პაიკიძე
- 6. სოფიკო გურამიშვილი

რუსეთი მარიუპოლში გვიმასპინძლებენ

რუსეთის ნაკრები "ერთა თასის" გათამაშებაში 21 მარტს უკრაინის ქალაქ მარიუპოლში გვიმასპინძლებს. ამის შესახებ საბოლოო გადწყვეტილება და დასტური ფირა-აერიდან საქართველოს რაგბის კავშირში უკვე ჩამოვიდა. "ერთა თასის" მიმდინარე გათამაშების ორივე მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება. რუსებმა საშინაო შეხვედრის გამართვა უკრაინაში არჩიეს, ხოლო "ბორჯღალოსნები" 2010 წელს პრინციპულ მეტოქეს თბილისის ნაცვლად საფრანგეთში მიიღებენ. ორივე სიტყვა მარიუპოლის შესახებ - ეს არის დონეცკის რაიონის ქალაქი. მდებარეობს აზოვის ზღვის სანაპიროზე. მოსახლეობა - ნახევარი მილიონი.

ალექსიძე და ოდიკაძე "გიორი ეტოს" თურქეთში მიჰყვებიან

რატი ალექსიძე და დათო ოდიკაძე "გიორი ეტოს" წლის პირველ უცხოურ შეკრებაზე მიჰყვებიან, რომელიც თურქეთის ქალაქ ბელეკში გაიმართება. მთავარი მწვრთნელის დრაგოლუბ ბეკვალაცის გადწყვეტილებით, საქართველოს ნაკრების ორივე ფეხბურთელი იმ 22-კაციან შემადგენლობაში მოხვდა, რომელიც ორკვირიან შეკრებას ჩაატარებს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში და ხუთ სპარინგს გამართავს. 30 წლის ალექსიძემ 26 იანვრიდან დაიწყო გუნდთან ერთად ვარჯიში და კლუბთან 3,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება ოდიკაძეს, მან უკვე გააფორმა უნგრულ კლუბთან 3,5-წლიანი კონტრაქტი.

კობიაშვილი დაბრუნდა

ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას "შალკემ" გერმანიის თასის მერვედფინალში ჩინებულად იასპარეზა და იენაში "კარლ ცაისი" 4:1 დამარცხა. ტრავმამოშუშებული კობიაშვილი თამაშში 83-ე წუთზე ჩაერთო და მეოთხე გოლის გატანისას კურანის ასისტენტობაც გაუწია.

გელზენკირხენელთა რიგებში დუბლი ფარფანმა შეასრულა, ერთხელაც კი რაკეტიჩმა გამოიჩინა თავი.

ყენია "შალკეს" განაცხადში არ ყოფილა. თასის გათამაშებას გამოეთიშა მათე ლვიანიანის "მიუნხენ 1860", რომელიც "ჰამბურგთან" გასვლით მატჩში 1:3 დამარცხდა.

ქართველი მცველი სათადარიგოთა სკამიდან არ წამოდგარა. მატჩის გმირი კი გახდა მასპინძელთა ხორვატი ფორვარდი ივიცა ოლიჩი, რომელმაც პეტორიკი შესარულა.

წარუმატებლად ითამაშა დავით თარგამაძის "ფრაიბურგმაც". ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია, მისმა კლუბმა კი "მაინცთან" 1:3 წააგო.

28 იანვარს ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე" "ვისბადენს" დაუპირისპირდება.

მხოლოდ კანკავა

ისრაელში შეკრებაზე მყოფმა უკრაინის საფეხბურთო პრემიერლიგაში მოასპარეზე დენპროპეტროვსკის "დნეპრმა" პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ჰაიფას "მაკაბისთან" 1:2 დამარცხდა.

"დნეპრის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, უკრაინელთა შემადგენლობაში მყოფი სამი ქართველი ფეხბურთელიდან განვილილ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ჯაბა კანკავამ, რომელიც მე-19 წუთზე კავერინის ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე, ვლადიმერ კობახიძე და ბექა გოცირიძე კი მოედანზე არ გამოჩენილან.

სავიოლა ფილიპსელთა წინადადებაზე დაფიქრდა

"რეალის" თავდამსხმელი ხავიერ სავიოლა, რომელიც უკმაყოფილოა სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, ფიქრობს სხვა კლუბში გადასვლას, სადაც თამაშისა და თავის გამოჩენის საშუალება ექნება. მას რამდენიმე კლუბიდან აქვს წინადადება. პრემიერლიგის "პორტსმუთთან" ერთად არგენტინელი დააინტერესა ჰოლანდიური "პსვ"-ს წინადადებამ. "არა ვარ წინააღმდეგი ჰოლანდიაში ვითამაშო. ვიცი, რომ "ეინდჰოვენი" დიდი ხანია თვალს ადევნებს ჩემს თამაშს. ასე რომ, მაქვს კარგი წინადადება, რომელსაც აუცილებლად განვიხილავ," - ამბობს სავიოლა.

მარკოიზვილმა "ბკ კიევის" მოაბეზინა

განახლდა "ევროჩელენჯის" გათამაშება, რომელშიც საქართველოს ნაკრების 4 წევრიდან 2 აგრძელებს თამაშს. გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის "ტარტუ როკი" პირველი ჯგუფური ეტაპიდან ვერ გავიდა, ხოლო მანუჩარ მარკოიზვილის "ბკ კიევი" და ტაირონ ელისის "კახასოლმა" მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირველი მატჩები გამართეს.

კიეველები ძლიერ ჯგუფში არიან, თუმცა მათ პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ისიც სათქმელია, რომ მათ დანარჩენებთან შედარებით სუსტი გუნდი ჰყავდათ მეტოქედ. ფავორიტები ერთმანეთში თამაშობდნენ. სტამბულში ბოლონის "ვირტუსმა" 104:91 დაამარცხა "გალათასარაი", ხოლო კიეველებმა გერმანიაში "ოლდენბურგს" 86:73 მოუგეს.

მანუჩარ მარკოიზვილს ხუთეულში არ უთამაშია, თუმცა მოედანზე 29 წუთი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მან 11 ქულას, 3 მოხსნას, ამდენივე ჩაჭრას და 2 პასს მოუყარა თავი. კიეველთა ქართველმა უკანახაზელმა 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო შორი მანძილიდან ნასროლი 5 ბურთიდან 3 მოა-



"მანუშ" "ევროჩელენჯის" მეორე ეტაპი გამარჯვებით დაიწყო

თავსა ოლდენბურგელთა კალათში.

კიეველებს გერმანულ ვოი-აუში ახლდათ უკრაინელი ჟურნალისტი სტანისლავ შკაპა, რომელმაც მატჩის რეპორტაჟი უკრაინული კლუბის ოფიცია-

ლურ ვებგვერდს მიანოდა.

მეორე მეოთხედის დასაწყისში მასპინძლებმა რვაქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. ამ დროს დავაში ბრწყინვალედ ათამაშდა "მანუ" და მეტოქეებს გასაქანს არ აძლევდა. ერთ-

ერთ ეპიზოდში გერმანულმა გუნდმა კარგი სპურტი განახორციელა და ანგარიშიც დაწინაურდა. დარბაზში შეკრებილი ფანები ფეხზე ამდგარი გულშემატკივრობდნენ თავის გუნდს. მაყურებელი "მანუს" ზუსტმა სამქულიანმა დაადუმა. ამას დროზდოვის კარგი თამაში მოჰყვა და კიეველები წინ გავიდნენ. მეორე კი საქმე იოლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებლის ესპანურმა გუნდმა "კახასოლმა" კი შინ კვიპროსული აელ-ი ვერ დაამარცხა. თანაბარი და დაძაბული მატჩის პირველი სამი მეოთხედი ფრედ დამთავრდა, ბოლო ათ წუთში კი სტუმრებმა იყოჩაღეს და საბოლოოდ 64:56 გაიმარჯვეს.

ელისმა ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 31 წუთში თავისიანებს 9 ქულა, 2 მოხსნა და ამდენივე პასი მიაშველა, თუმცა "ტაიმ" ბურთი ოთხჯერ დაკარგა.

"კახასოლის" ჯგუფის მეორე მატჩში რუსული დერბი გაიმართა: პერმის "ურალ გრეიტმა" შინ როსტოვულ "ლოკომოტივს" მოუგო და ჯგუფის ლიდერი გახდა.

ლოზანაში ფრენბურთს ახვლედითან განიხილავენ

ლოზანა და მისი ერთ-ერთი ბინადარი ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიოში ფრენბურთის განვითარების კომისიის სამასპინძლოდ (3 თებერვალი) ემზადება. კომისიის სხდომა ჩვენი იმად და მნიშვნელოვანი, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და იმავდროულად კომისიის წევრი ლევან ახვლედიანი.



ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში, რომელსაც სხვა უამრავ საერთაშორისო ფედერაციებთან ერთად სწორედ ლოზანაში დაუდია ბინა, ძირითად განსახილველ საკითხად გატანილია აფრიკის კონტინენტზე ფრენბურთის შემდგომი განვითარება, პროექტის "ფრენბურთი ყველასათვის" განხილვა და U-VOLLEY-ს მსოფლიოში პოპულარიზაციის საკითხი.

ჩვენს შემთხვევაში საინტერესო სწორედ U-VOLLEY-ია. და მაინც, რასთან გვაქვს საქმე? "მსოფლიოს მოსახლეობის მამაკაცთა 97 პროცენტი 185 სანტიმეტრზე დაბალია, ხოლო ქალთა ამგვარი მაჩვენებელი 175 სანტიმეტრით განისაზღვრება. U-VOLLEY სწორედ ის დისციპლინაა, სადაც მოთამაშეთა მაქსიმალური ზღვარი შე-

საბამისი თანმიმდევრობითაა განანილებული. - ვითარებაში გვარკვევს ლევან ახვლედიანი. - 2005 წელს ინდონეზიის დედაქალაქმა სწორედ ამგვარ სადებიუტო ტურნირს უმასპინძლა.

ფაქტია, ჯაკარტის ტურნირმა გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. მეტიც, რამდენიმე ქვეყანა ეროვნულ ჩემპიონატებსაც ატარებს. ახლა ჩვენი მიზანია, რომ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დის-

ციპლინა მასობრივად აქციოს". და კიდევ, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი 2002 წელს ბუენოს აირესის კონგრესზე სწორედ U-VOLLEY-ის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ.

ქართველებმა მოლდოვას სძლიეს
ბაქოში მიმდინარე ფუტსალის ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა პირველი გამარჯვება იხეიმა. ქართველებმა მოლდოვას 2:1 სძლიეს და, პირველ ტურში აზერბაიჯანთან მარცხის გათვალისწინებით, 3 ქულა მოაგროვეს.

გრავესენმა კარიერა დაასრულა
მადრიდის "რეალისა" და დანიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ტომას გრავესენმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. "დგება დრო, როცა უნდა დავასრულო კარიერა. ვფიქრობ, ახლა ჩემთვის შესაფერისი პერიოდია. არ მინდა მოედანზე ვინმემ მისტივინოს. სჯობს გულშემატკივარს საუკეთესოდ დაამახსოვრო თავი," - ამბობს ფეხბურთელი. გრავესენმა ეროვნულ ნაკრებში 66 მატჩი ითამაშა და მონაწილეობდა ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

იტალიელებს "ბექსის" შენარჩუნება სურთ
იტალიის "მილანს" ამერიკის შეერთებული შტატების MLS ლიგაში მოასპარეზე "ლოს ანჯელეს გელექსიდან" ამჟამად "როსონერიში" იჯარით მოთამაშე ინგლისელი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვა სურს. "თუ ბექჰემი "გელექსს" მოლაპარაკება, მზად ვართ, მისი ტრანსფერი გამოვიწყიდოთ. ამის თაობაზე უახლოეს დღეებში დევიდის მენეჯერთან შეხვედრას ვაპირებთ. თუმცა, თუ ამერიკელები გადაწყვიტენ, რომ არ გაყიდონ... მაშინ ვერაფერს ვიზამთ. ბექჰემს დიდი სიამოვნებით დავიტოვებდით, მაგრამ ის სხვა კლუბს ეუფლებინა. დახმარებისთვის კი დიდ მადლობას ვუხდით", - განაცხადა ადრიანო გალიანი.

თავის მხრივ, ბექჰემის მენეჯერმა სიმონ ოლივეირამ აღნიშნა, რომ არავითარ ტრანსფერზე საუბარი არ არის: "პრესაში ხშირია ჭორები და ვარაუდები. დევიდს "მილანში" ყოფნა მოსწონს, მაგრამ "ლოს ანჯელეს გელექსთან" კონტრაქტი აკავშირებს და კლუბში 9 მარტს დაბრუნდება". სხვათა შორის, "გელექსის" მთავარმა მწვრთნელმა ბრიუს არენამ დაუფარავად თქვა, რომ კლუბი ბექჰემისთვის "მილანში" იჯარის გაგრძელებას არ აპირებს: "ორი ფეხბურთელი სხვა კლუბებში გვეყავს განათხოვრებული. მათი საიჯარო ხელშეკრულებები 8 მარტს იწურება. მხარეებს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში გარკვევითაა მითითებული პირობები, რომელთა დარღვევას არ ვაპირებთ".

ფეხბურთი და ტერორისტი
10 თებერვალს ლონდონში დაგეგმილი იტალია-ბრაზილიის ამხანაგური მატჩი რეალურად ჩაშლის პირასაა. ამ შემთხვევაში სპორტული მხარე არაფერ შუაშია. მატჩის ჩატარების საკითხს პოლიტიკოსები არკვევდნენ. სიტუაცია იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალფრედო მანტიკამ დაძაბა. მატჩის ჩაშლასაც სწორედ ის მოითხოვდა. რა თქმა უნდა, მას მიზეზი ჰქონდა (რამდენად საფუძვლიანი, ეს თავად განსაზღვრეთ). მანტიკა პროტესტს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბრაზილიამ იტალიას უარი უთხრა ყოფილი ტერორისტის, ვინმე ჩეზარე ბატისტას გადაცემაზე.

აპენინებზე ეს პიროვნება ოფიციალურად არის დადანიშნული ორ მკვლელობაში, რომელიც მან გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაიდინა. იმხანად ბატისტა ყოფილა ნეკრი დაჯგუფებისა "შეიარაღებული პროლეტარიატი კომუნისტებისთვის", ხოლო ბრაზილიამ ის იტალიელებს კი არ გადასცა, არამედ 13 იანვარს პოლიტიკური დევნილის იარღილი ოფიციალურად გაუფორმა და თავშესაფარიც მისცა. მოგვიანებით მანტიკას განცხადებას გამოეხმაურა იტალიის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე როკო კრიმი, რომელიც, სხვათა შორის, ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე არის პასუხისმგებელი. კრიმიმ დაამშვიდა ტიფოზები - მატჩი აუცილებლად გაიმართება დათქმულ დროსა და ადგილზე, პოლიტიკურ საკითხებს კი სხვაგვარად მივხედავთ, - განაცხადა მან.

უარი "რეალს"
საერთაშორისო სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ მადრიდის "რეალს" კლას-იან ჰუნტელარისა და ლასანა დიარას ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეყვანაზე უარი უთხრა. ასეთი მოთხოვნით "რეალმა" ორჯერ მიმართა უეფას და ორჯერვე უარი მიიღო. ასე რომ, მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგაში ახალწვეულთაგან მხოლოდ ერთი ფეხბურთელის დამატება შეეძლებათ.

"რაფა" სრული სვლით

ავსტრალიის ღია პირველობის ერთეულთა თანრიგში ნახევარფინალისტების ვინაობა გუშინ გაირკვა. თუ აქამდე ტურნირმა არაერთი სენსაცია გვაჩუქა, ახლა უკვე ის ეტაპია, როდესაც მოულოდნელობებზე საუბარი აღარ შეიძლება. თანაც გუშინდელმა დღემ, შეიძლება ითქვას, სრულიად ლოგიკურად ჩაიარა. დავინყოთ ქალთა გათამაშებით, სადაც ნახევარფინალში სრული რუსული დომინაცია იქნება. დინარა საფინა, ეკრა ზონარევა და ელენა დემენტიევა ფინალში გასვლისთვის იბრძოლებენ, საფინა და ზონარევა საუკეთესოს ერთმანეთში გაარკვევენ, დემენტიევა კი სერენა უილიამსს დაუპირისპირდება.

სერენამ და დემენტიევამ სწორედ გუშინ მოიპოვეს ნახევარფინალში თამაშის უფლება. თუ რუსს მეოთხედფინალის მოსაგებად ოფიცირ არ დაუღვრია, სერენამ ბევრი იბრძოლა და სამსეტიანი მატჩის გამართვაც დასჭირდა. დემენტიევას მეტოქე იყო ესპანელი კარლა სუარეს ნავარო, რომელიც წლებადელი ავსტრალიის ღია პირველობის აღმორჩენადაც უნდა ჩავთვალოთ. ესპანელმა ტურნირს გამოთმა ანა ჩაკევატაძე და ვენუს უილიამსი, თუმცა დემენტიევას წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. მშვენიერ ფორმაში მყოფმა რუსმა ჩოგბურთელმა სუარეს ნავარო თითქმის უშანსოდ დატოვა - მეტოქეს ორ სეტში მოუგო (6:2, 6:2). ამის შემდეგ კუზნეცოვასა და სერენა უილიამსის ჯვრიც დადგა. თამაში დაძაბული გამოდგა. პირველი სეტი რუსმა 7:5 მოიგო და მცირე უპირატესობას მეორეშიც ფლობდა,



ნადალი ტურნირის ფავორიტია

თუმცა სერენა მალე გამოფხიზლდა და გადამწყვეტ მომენტში მეტოქის მონოდებზე გეიმი მოგო, რისი წყალობითაც სეტი 7:5 მოიგო. მეორე სეტის წაგებამ კუზნეცოვა საბოლოოდ გატეხა და გადამწყვეტ მესამე სეტში სერენა უილიამსს წინააღმდეგობა არ შეხვედრია. რაც შეეხება ვაჟთა გათამაშებას, თავდაპირველად კორტ-

ზე ფერნანდო ვერდასკო და ჯო უილფრიდ ცონგა გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ შავკანიანი ფრანგი ფართო საზოგადოებამ სწორედ ავსტრალიის ღია პირველობის წყალობით გაიცნო. გასულ წელს ცონგა ტურნირის ნამდვილ აღმორჩენად იქცა. წლეულს მისგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ვერდასკოსა და ცონგას მეოთხედფინალი დაძაბული გა-

მოდგა, თუმცა ფრანგი ჩოგბურთელი სშირად ცდებოდა, რამაც ვერდასკოს საქმე გაუადვილა და მანაც ოთხ სეტში შეძლო მეტოქის დამარცხება. გუშინდელი დღე რაფაელ ნადლისა და ჟილ სიმონის შეხვედრით დასრულდა. ნადლმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საუცხოო ფორმაშია. წლებადელ ტურნირზე ნადალს ერთი სეტიც არ ნაუგია.

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.
- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



AFP, 2009

არაბეთის გაერთიანებული სახალიფოს საჰაერო სივრცეს თვითმფრინავები სერავენ. ყველა იქაა, ვისაც კი საკუთარი თვითმფრინავით ჰაერში აკრობატული მოძრაობები შეუძლია. ერთნი აღმა დაფრინავენ, მეორენი - დაღმა. ზოგიც ყირამალას აკეთებს. ესენი კი სკანდინავიელი ცაში მოხეტიალენი არიან. ყოველ შემთხვევაში საკუთარ თავს ასე უწოდებენ. იმდენად თავზეხელაღებულნი არიან, რომ საკუთარი "კუკურუნისკის" ფრთებზე შემოსკუებულან და მოსეირნებს მაღლიდან დაყურებენ. როგორც არ უნდა იყოს, მონაწილეებს "აღ აინის" სახელით ცნობილი საერთაშორისო გამოფენა აერთიანებთ.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთდღიანი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგია

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააზრახვეთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიერთდით, ერთად დავეუზრუნოთ ბავშვები თავიანთი ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



ბრძანება N11

26.01.2009წ
010.260.030.38.101.012.700. 15 იანვარი 2009წ.

„ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

„ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 13 იანვრის N8 ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბრძანება ამოქმედდეს 2009 წლის 5 თებერვლიდან.“

გიორგი უგულავა

ჰაიდელბერგცემენტი HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ ატესტაციის ტენდერს

შემდეგი სახის მომსახურებაზე:
კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე საკაბელო ესტაკადის ლითონის კონსტრუქციის მონტაჟზე.
დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს სატენდერო მასალების ნაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“
ნინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12

ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge

თამარ დარახველიძე

ნინადადებების მიღების ბოლო ვადა: 2009 წლის 12 თებერვალი.

ბანცხაღება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

